# ბოლშევიკური კადრებისათვის

№ 3 (10) | 12 მარტი 1934 წ. | № 3 (10)


## სახელოვანი გზა

შესრულდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის 12 წლისთავი. ამხ. **ლენინის** და **სტალინის** უშუალო მითითებებით და მშრომელთა ფართო მასეაის აქტიური მონაწილეობით შექმნილმა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ ამ თორმეტი წლის მანძილზე გაიარა დიდი და სახელოვანი გზა. ლენინის საუკეთესო თანამშრომლის და მისი საქმის გენიალური გამგრძელებელის ამხ. **სტალინის** დახმარებითა და მითითებით ამიერ-კავკასიამ ბუმბერაზულ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად.

სამუდამოთ ჩაბარდა ისტორიას ნაციონალური შუღლი და მტრობა, რომელსაც ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის სთესავდა და აღვივებდა თვითმპყრობელობა, და რასაც გულმოდგინეთ და კიდევ უფრო ფართო მასშტაბით განაგრძობდნენ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები. ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის 12 წელი წარმოადგენს „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელ: ნაციონალური მშვიდობიანობის ხიმუშს“ (ლენინი), წინათ ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილმა ამიერ-კავკასიამ ამ 12 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი პირველი ხუთწლედის განმავლობაში, გიგანტური ნაბიჯი გადასდგა წინ სამეურნეო და კულტურული წინსვლის გზაზე. ამ მიღწევების სალიუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის ხვე- [illegible]

ყოველივე ამას ამიერ-კავკასიის ფედერაციამ მიაღწია იმის შედეგათ, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები თავიდანვე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ადგილობრივ ნაციონალიზმთან და ყოველგვარ „უკლონიზმთან“ ლენინური ნაციონალურ პოლიტიკის საფუძველზე.

მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს ჩვენს უნივერსიტეტსაც სოციალისტური მშენებლობის და ინტერნაციონალური სოლიდარობის თავის უბანზე. ოდესღაც ნაციონალისტური ინტელიგენციის—მენშევიკ—ფედრალისტ—ნაც.—დემოკრატების თავშესაფერი, დღეს გადაქცეულია მაღალ კვალიფიციური კადრების ბოლშევიკურ სამჭედლოთ, სადაც ინტერნაციონალურ აღზრდის ამოცანებით არის გამოსჭვალული მთელი მუშაობა.

პარტიის გენერალური ხაზის და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების შედეგად გაცამტვერებულია ნაციონალისტური ინტელიგენციის წინააღმდეგობა და უკანასკნელ წლებში, პირველად ქართული უნივერსიტეტის ისტორიაში მტკიცე საძირკველი ჩაეყარა რუსეთის და მეზობელ ხალხთა ენის, ისტორიის, კულტურის შესწავლას, რუსეთის მეცნიერული ძალების გამოყენებას, მჭიდრო კავშირს საბჭოთა კავშირის მეცნიერულ ცენტრებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა მომავალშიც გა- [illegible]

## რას მივაღწიეთ

[illegible] ფაქტიურად არ არსებობდა. არცერთი ნებაყოფლობით ორგანიზაცია და სხვა, მაგრამ მეორე სემესტრში მდგომარეობა გამოსწორდა; ფაკ. პროფკომმა საფუძვლიანად გარდაქმნა და გადაახალისა მუშაობა, განმტკიცდა კონკრეტიულ— [illegible] აგრეთვე გაცდენების აღმოფხვრას, გაფართოვდა რაც. შეჯიბრება და დამკვრელობა.

საჭიროა ყველა ამ მიღწევის შენარჩუნება და გაღრმავება.

**ს. ფალავანდიშვილი**

## ასპირანტთა მოსამზადებელი კურსი ჩაება მეორე საკავშირო შეჯიბრებაში.

ახლახან ჩამოყალიბდა ასპირანტთა მოსამზადებელი კურსი—ღირსეული კადრების მოსამზადებლად ასპირანტთა ინსტიტუტისათვის.

ჯგუფი, რომელიც ახლახან შეუდგა მეცადინეობას, ჩაება უმაღლეს სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში. გაშლილია მუშაობა შეჯიბრის ინდივიდუალურ და ჯგუფურ ხელშეკრულებათა გასაფორმებლად.

მაგრამ ზოგიერთი ამხანაგი ზერელედ ეკიდება მონაწილეობას შეჯიბრებაში, რასაც ამტკიცებს მათი ინდივიდუალური შეჯიბრების მუხლები, რომლებიც შეიცავენ ლექციებზე დასწრების და საგნების ჩაბარების ვალდებულებას.

საჭიროა ეს ამხანაგები ყურადღებით გაეცნონ საკავშირო შეჯიბრების მასალებს და ხელშეკრულებებში შეიტანონ ის მუხლები, რომლებიც ამ მასალებშია გათვალისწინებული.

**ვ. ტულუში**

# ვუშლით საშეფო მუშაობას.

## 10 დღით საშეფო სოფელში

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და მასზე პროლეტარული გავლენის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქის შეფობას სოფელზე.

ჩვენმა უნივერსტეტმა მიმდინარე წელს მტკიცედ მოჰკიდა ხელი საშეფო მუშაობას და საგაზაფხულო თესვის საქმეში სოფლისათვის სისტემატიური დახმარების აღმოჩენის მიზნით საშეფოთ აიყვანა ძეგვის—და დიღომის საბჭოების ფარგლებში შემავალი კოლმეურნეობები.

მთელმა უნივერსტიტეტმა — პროფესორ — ლექტორებმა და სტუდენტობამ გაერთიანებულ კრებებზე იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

გამოიყო ბრიგადები სოფლად გასაგზავნად.

21 თებერვალს სოფლად გასაგზავნ ამხანაგებს გაუკეთდა უკანასკნელი საინსტრუქციო მოხსენება. მეორე დღეს კი ორი ბრიგადა, თითოეული სამ-სამი კაცის შემადგენლობით გაემგზავრა ძეგვსა და დიღომში. მათ თან მიჰქონდა სტუდენტის მიერ შეკრებილი წიგნები და რვეულები საშეფო სოფლებისათვის.

ძეგვის სასოფლო საბჭოები ბრიგადის ჩასვლას აღფრთოვნებით შეხვდნენ.

—საბჭოს თავჯდომარემ ამხ. **ხოხობაშვილმა** სიცილით გვითხრა:

—ერთი ორიოდე დღით ხვნაზე რომ გაგზავნოთ, აბა რას იტყვითო!

ადგილობრივმა აგრანომმა, რომელიც იქვე იდგა, ღიმილით გადმოგვხედა.

—არც მაგაში ჩამოვრჩებით,—უპასუხა ჩვენის სახელით ჩვენმა ბრიგადირმა.

შევადგინეთ მუშაობის ათდღიური გეგმა. ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად გავანაწილეთ ჩამოტანილი სასწავლო ნივთები და ხელსაწყოები. არც ერთი მოწაფე არ დაგვრჩენია დაუსაჩუქრებელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 13 წლისთავისათვის ბრიგადამ გამოუშვა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

ამის შემდეგ ბრიგადის წევრები მიმაგრებულ იქნენ ცალკე კოლმეურნეობებზე (ქსანი, ზემო ნიჩბისი, საცხური).

რა გავაკეთეთ ჩვენ აქ-?.

**ქსანში** გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი—„მინდვრის დამკვრელი“, მიძღვნილი საგაზაფხულო თესვის საკითხებისადმი, კოლმეურნეობას დავეხმარეთ აღრიცხვის საქმეში. ჩატარდა კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა კრება საგაზაფხულო თესვის საკითხების განსახილველად. კრებას გაეცნო პარტიის და მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილებები ამ საკითხზე.

ეჭვს გარეშეა, რომ კრებამ გააძლიერა კოლმეურნეთა ენტუზიაზმი, ვინაიდან მეორე დღეს საკოლმეურნეო მინდვრებზე გამცხოველებული ხვნა მიმდინარეობდა.

უნდა ითქვას, რომ ქსანის კოლმეურნეობა „წითელი კოლექტივი“ (თავმჯდომარე—ამხ. **ს. გოცირიძე**) და ძეგვის მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა „სიმართლე“ (თავჯდომარე—ამხ. **კაკალოვი**) სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში ნამდვილად მოწინავე არიან და მიდიან ყველა კოლმეურნეების შეძლებულებად გადაქცევის გზით.

**საცხურში** ბრიგადის ინციატივით მოეწყო წითელი კუთხე. საცხურის კოლმეურნეობაში უმოქმედოთ იდგა ტრაქტორი, რომელიც შეკეთებას საჭიროებდა. ბრიგადამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, ხელი მოჰკიდა ამ საქმეს. გამოძახებულ იქნა მექანიკოსი მუხრანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურიდან და ტრაქტორი შეაკეთეს.

ბრიგადა დაეხმარა საბჭოსთან ახალად მოწყობილ წერტს, სადაც მოეწყო 4 ს-ნი პოლიტმეცადინობა 1912 წ. დაბადებულთათვის.

8 მარტთან დაკავშირებით მოვაწყვეთ ქალთაშორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. მასწავლებლის ხელფასის გადახდა ჩვენმა უნივერსიტეტმა იკისრა.

ბრიგადის თაოსნობით შექმნილია პირობები ბავშვთა ბაგის მოსაწყობათ უახლოეს ხანაში.

**დიღომშიც** არა ნაკლები მუშაობა ჩატარდა. აქ ექვს უბანზე გამოუშვით 6 კედლის გაზეთი. ბრიგადის ინციატივით, რასაც მხურვალედ გამოეხმაურენ ყველადგილობრივი ორგანიზაციები და ამხანაგები, მოეწყო სასუქის მასიურად გატანა მინდვრად.

მოვაწყვეთ საუბრები გლეხობასთან. ვაწყობდით საუბრებს წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში და ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობასთან. ბრიგადის თაოსნობით და დახმარებით ადგილობრივი ძალებით მოეწყო სალამოწარმოდგენა. მეორე წარმოდგენა მოეწყო უნივერსიტეტის დრამწრის ძალებით და უნივერსიტეტის სამხედრო ორკესტრის მონაწილეობით, რითაც ადგილობრივი გლეხობა ძლიერ კმაყოფილი და მადლიერი დარჩა.

საერთოდ ორივე საშეფო სოფლების კოლმეურნეები კმაყოფილი დარჩნენ უნივერსიტეტის შეფობით და უნივერსიტეტის რექტორს ამხ. **ლ. აღნიაშვილს** და პარტკომიტეტის მდივანს ამხ. **ს. მინდაძეს** დეპეშით მადლობა გამოუცხადეს.

ჩვენი უნივერსიტეტი მომავალშიც არ შეასუსტებს საშეფო სოფლების დახმარებას და ღირსეულ წვლლის შეიტანს ამმხრივ XVII პარტყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად.

**ბრიგადის წევრი ნ. დუშუაშვილი**

## ვეხმარებით საშეფო სოფელს.

ისტორიულ—ლიტერატურული ფაკულტეტის პარტუჯრედმა ერთიან პოლიტდღეზე პარტკომკავშირელთა და უპარტიოთა აქტიური მონაწილეობით დაამუშავა საშეფო სოფლებისათვის მატერიალური და კულტურული დახმარების აღმოჩენის საკითხი, განსაკუთრებით—საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარების უზრუნველყოფის ამოცანასთან დაკავშირებით.

ფაკულტეტს საშეფოთ ჰყავს აყვანილი დიღომის საბჭოთა მეურნეობა და საკოლმეურნეო სკოლა.

გასულ წელს ფაკულტეტმა ორჯერ მოაწყო შაბათობა დიღომის საბჭოთა მეურნეობაში. შაბათობაში მონაწილეობას იღებდა არა ნაკლებ 500 კაცისა.

საკოლმეურნეო სკოლაში მოვაწყვეთ ლიტერატურული სალამო.

ჩვენი ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ მოაწყო წიგნების, რვეულების და სხვა სასწავლო ნივთების შეგროვება სკოლისათვის.

მიმდინარე წელს განზრახული გვაქვს ეს მუშაობა კიდევ უფრო გავაფართოვოდ.

ერთიან პოლიტდღეს მოწვეულმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ბრიგადის გაგზავნის შესახებ საშეფო საბჭოთა მეურნეობაში გაზაფხულის თესვისათვის მომზადების შესამოწმებლად და საჭირო დახმარების აღმოსაჩენად, როგორც თესვისათვის მზადების, ისე კულტურული მომსახურეობის მხრივ. ამასთან ერთად ფართოდ გაიშალა ნებაყოფლობითი საფუძველზე თანხების შეგროვება მეურნეობის კულტურული საჭიროებისათვის. ვაგროვებთ რვეულებს, კალმისტარებს, ფანქრებსა და სხვ.

ერთ-ერთ დასასვენებელ დღეს ფაკულტეტი დიღომის მეურნეობაში მოაწყობს დიდ შაბათობას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 400 კაცისა.

ჩვენმა ფაკულტეტმა საშეფო მუშაობის უკეთ გაშლისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია საბუნებისმეტყველო და სამართლის ფაკულტეტები.

**ლ. ბასილაია**

## კონკურსი საუკეთესო კონსპექტზე

წიგნზე დამოკიდებულია მუშაობა და კონსპექტის კარგად შედგენა საგნის შეთვისების მაღალი ხარისხის მთავარი პირობაა.

ამიტომ არის, რომ ორივე ეს საკითხი შეტანილია უმაღლეს სასწავლებლების შეჯიბრების პირობებში.

ამიტომ ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატმა და პარტუჯრედმა გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო კონსპექტზე. საკითხი დამუშავდა ყველა ჯგუფებში. კონკურსში ჩაება უკვე 149 ამხანაგი.

კონკურსში მონაწილე სტუდენტების კონფერენციაზე 7 მარტს ფაკულტეტის დეკანმა ამხ. **გ. ჯანელიძემ** გაკეთა მოხსენება წიგნზე დამოკიდებული მუშაობისა და კონსპექტების შედგენის მეთოდების შესახებ.

გამოიყო კომისია კონკურსის ხელმძღვანელობისათვის. კონსპექტები სარეცენზიოთ გადაეცემა სათანადო კათედრებს. მოეწყობა კონსპექტების საჯარო განხილვა. საუკეთესო კონსპექტების შემდგენთა დაჯილდოვება.

საჭიროა, რომ პედაგოგიკის კათედრმა უახლოესი მონაწილეობა მიიღოს კონკურსში და უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეთა დახმარება.

**შ. მ—ძე.**



ამხ. პარ. მეტრეველი.
დამკვრელი სტუდენტი დაჯილდოებულია დამკვრელ სტუდენტთა მეორე კონფერენციის მიერ ერთი თვის სტიპენდით.

## გავაძლიეროთ ანტი-რელიგიური აღზრდა

რელიგია მონობის, ჩაგვრის, სიბნელის, უვიცობის შვილია, ის ფართო მშრომელი მასების გაყვლეფის, დამონების ბასრი იარაღია. სოციალიზმისათვის ბრძოლა შეუძლებელია რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე. სოციალიზმი ფართო მშრომელი მასების აქტიურ ბრძოლას მოითხოვს, რელიგია კი ამ მასებს მონობისა და სიბნელის ჯურღმულისაკენ ეწევა. სოციალისტური საზოგადოების ძლევამოსილი აღმშენებლობა ძირფესვიანად ანგრევს რელიგიის ბუნაგს, ის ეხლა მის უკანასკნელ ნაშთებს უსწორებს ანგარიშს. ისე, როგორც ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოტაციისაგან, რელიგიის მონობისაგანაც მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციას შეუძლია კაცობრიობის დახსნა. დღეს, გარდამავალ პერიოდში, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, იქმნება ახალი ადამიანი, კომუნისტური ადამიანი, მარქსისტულ,-ლენინური სოფლმხედველობით შეიარაღებული ადამიანი. ჩვენი სასწავლებლები—საშვალო და უმაღლესი—კომუნისტური სასწავლებლებია, სადაც მიმდინარეობს სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებული მშენებლების მომზადება, აღზრდა. ჩვენი სასწავლებლები კომუნისტური აღზრდის სკოლებია, ხოლო კომუნისტური აღზრდის ერთ ძირითად ნაწილს ანტირელიგიური აღზრდა შეადგენს. ანტირელიგიური აღზრდა, მებრძოლი ატეისტის მომზადება—ერთ-ერთი მთავარი ამოცანათაგანია. ჩვენი სკოლა არა ურელიგიო აღზრდის, არამედ ანტირელიგიური აღზრდის სკოლაა და ამიტომ მთელი მისი სასწავლო პედაგოგიური პროცესი გაჟღენთილი უნდა იყოს ანტირელიგიური მომენტებით. არ არის ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმაში გამოყოფილი ისეთი საგანი, რომელსაც ანტირელიგიური აღზრდა ჰქვიოდეს, მხოლოდ ანტირელიგიურ აღზრდას ემსახურებოდეს, მაგრამ არ არის ჩვენს სკოლაში არც ისეთი საგანი, რომელიც ანტირელიგიურ აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდეს. ეს გარემოება კარგიცაა და ძნელიც. კარგი იმდენათ, რამდენათაც რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა საგნები, მთელი სასწავლო, პედაგოგიური პროცესია მოწოდებული და ძნელი იმდენათ, რამდენათაც რთულია, მეტად რთულია ყველა საგნების, მთელი სასწავლო—პედაგოგიური პროცესის ამ ბრძოლაში კონკრეტულად ჩაბმის ფორმების და მეთოდების გამოძებნა. ანტირელიგიურ აღზრდაში კადრების პრობლემა მეტად დიდი მნიშვნელობის პრობლემაა, აქ ყოველივე იმაზეა დამოკიდებული, თუ აღმზრდელი რამდენათ უპასუხებს თავის დანიშნულებას. ანტირელიგიურ აღზრდაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება უმაღლეს სკოლას. უმაღლესმა სკოლამ უნდა მოგვცეს ჩვენ ნამდვილი მებრძოლი ატეისტები. ის გარემოება, რომ უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში არ შედის სპეციალური საგანი —ატეიზმი—არ ნიშნავს იმას, რომ უმაღლესი სკოლისათვის მოხსნილია ანტირელიგიური აღზრდის პრობლემა. თვითეული საგნის სწავლების დროს დაცული უნდა იყოს ანტირელიგიური აღზრდის პრინციპები. მარქსისტული მეცნიერება რელიგიასთან შეუთავსებელია, რელიგიის მტერია და მარქსისტულათ შეიარაღებული ადამიანი ნამდვილი ატეისტია. უმაღლესი სკოლა იბრძვის რა სტუდენტთა მარქსისტული მომზადებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ ის იბრძვის რელიგიის წინააღმდეგ, ამზადებს ატეისტს. ეს ყოველივე მართალია, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს რომ თითქოს არაა საჭირო ყურადღების გაძლიერება გზადაგზა რელიგიის სპეციალურ საკითხებზე, არაა საჭირო სასწავლო პედაგოგიური პროცესის ანტირელიგიურათ გამახვილება. გარდა იმისა, რომ თვითეული საგანი უნდა ებრძოდეს რელიგიას, საჭიროა აგრეთვე სპეციალური მოხსენებების, ლექციების და საუბრების ჩატარება ანტირელიგიურ თემებზე.

უმაღლესმა სკოლამ უნდა გააძლიეროს ანტირელიგიური აღზრდა.

**ქ. ჭკუასელი**

# შევქმნათ რკინისებური დისციპლინა
## საყვედური და გაფრთხილება ლექციების გაცდენისათვის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 130**

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი**

**ქ. ტფილისი „ 10 „ მარტი 1934 წ.**

მიუხედავათ რამდენიმე წინასწარი გაფრთხილებისა და საკითხის რამდენჯერმე საზოგადოებრივი დამუშავებისა, ადგილი აქვს შემთხვევებს როდესაც მასწავლებლები არა საპატიო მიზეზით აცდენენ მეცადინეობებს (ან არაფერს არ ატყობინებენ სასწავლო ნაწილს გაცდენების შესახებ ან მიემგზავრებიან მივლინებებში წინასწარ გაუფრთხილებლად და სხვ.), რაც საფუძველს მაძლევს ვიფიქრო, რომ მთელ რიგ მასწავლებელთა შორის გამეფებულია გულ-გრილობა და უპასუხისმგებლობა თავის მოვალეობის შესრულებისადმი. ამიტომ ვუცხადებ საყვედურს შემდეგ მასწავლებლებს ლექციების არა საპატიო მიზეზით გაცდენისათვის 25 იანვრიდან 25 თებერვლამდე

1. დოც. სევერიან ყალიჩავას . . . . . . . . . . . . . . 19 საათი
2. მასწავლ. შალვა პაპავას . . . . . . . . . . . . 4 „
3. „ გრიგოლ სირაძეს . . . . . . . . . . . . 4 „
4. ასისტენტ თავხელიძეს . . . . . . . . . . . . 2 „

ლექციების არა საპატიო მიზეზით გაცდენისათვის მიუთითებ შემდეგ მასწავლებლებს:

1. პროფ. კაკაბაძე ვასილს . . . . . . . . . . . . . 2 საათი
2. ასისტ. თეოლინა გარდახობაძეს . . . . . . . . . . 2 „
3. დოც. ვარლამ მანჯგალაძეს . . . . . . . . . . . 2 „
4. მასწავლებ. რაფიელ კაჭარავას . . . . . . . . . . 2 „
5. დოც. დავით კობახიძეს . . . . . . . . . . . . 4 „
6. „ შალვა გოგებაშვილს . . . . . . . . . . . 2 „
7. „ ბესარიონ ყავრიშვილს . . . . . . . . . . 4 „
8. ასისტ. პავლე დინიბეგოვს . . . . . . . . . . . 2 „
9. დოც. ვახტანგ კოტეტიშვილს . . . . . . . . . . 2 „
10. „ ზაქარია ინწკირველს . . . . . . . . . . . 2 საათი
11. „ ვალია ბახტაძეს . . . . . . . . . . . . 4 „
12. პროფ. არჩილ გულისაშვილს . . . . . . . . . . 2 „
13. ლექტ. გ. ნათიძეს . . . . . . . . . . . . . 2 „
14. დოც. დომენტი ცხაკაიას . . . . . . . . . . . 2 „
15. ასისტ. ნიკოლოზ ასათიანს . . . . . . . . . . . 2 „

ვავალებ სასწავლო ნაწილს ყველა იმ მასწავლებლებს, რომელიც არა საპატიო მიზეზით გააცდენენ საათებს ა. წ. 1-ლ მარტიდან გამოექვითოს ხელფასიდან გაცდენილ საათების გასამრჯელო.

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**რექტორი—პროფესორი: ლ. ალნიაშვილი**

## თეორიული სექციის ჯგუფი გამოვიდა გარღვევებიდან

ამ ჯგუფში ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევას. პირველ სემესტრში საშუალოდ თვითეულ სტუდენტზე მოდიოდა 5-საათი დეკადაში, ადგილი ჰქონდა ლექციების დროს უადგილო შეკითხვებს, ხელმძღვანელობა იყო ყოვლად უვარგისი, რისთვისაც სათანადო სასჯელი მიიღო ამხ. წულუკიძემ და ხაინდრავამ.

ამჟამად ჯგუფს სათავეში უდგას ამხ. **გეგუჩაძე, კაჭარავა** და **გურგენიძე**, რომელთა ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგათ გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები: შეიქმნა მთლიანობა, განმტკიცდა სასწავლო დისციპლინა, სტუდენტებს შორის გაიშალა სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა, ჩამოყალიბდა 4-საბუქსირო ბრიგადა ძლიერ სტუდენტებისაგან, შემოღებულ იქნა მფრინავი წითელი და შავი დაფა, რამაც ხელი შეუწყო გაცდენების ლიკვიდაციას და სხვ.

განვაგრძოთ ბრძოლა ახალი მიღწევებისათვის.

**ს.—ფ.**

## ვიბრძვით შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ასპირანტთა მოსამზადებელი ჯგუფი უკვე ჩაება უნივერსიტეტის მუშაობის ფერხულში. საჭიროა რკინისებური დისციპლინა, რომ ჯგუფმა პირნათლად შეასრულოს მის წინაშე დასმული ამოცანები.

მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მსმენელი აქამდე არ ესწრება უმიზეზოდ ლექციებს, ზოგჯერ სრულიად არ ცხადდებიან. ჯგუფმა ამ ამხანაგების მიმართ ჯერ-ჯერობით მიიღო ამხანაგური ზემოქმედების ზომები—გაფრთხილება მისცა მათ.

ჯგუფის ლოზუნგია—არც ერთი წუთი უმიზეზოდ გაცდენილი.

ყველა მსმენელი უნდა იბრძოდეს ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის.

**ვ.—ტ.**

## მეორე სემესტრის სასწავლო გეგმები უნდა შესრულდეს

ჩვენი ჯგუფი № 38 (სახ. აღმშენებ. და სამართლის ფაკულტეტის პირველი კურსი) 26 სტუდენტისაგან შედგება. უმეტეს სასწავლებლებში შემოვიდა [illegible] ჯგუფმა აიღო მთელი რიგი ვალდებულებები დაიკისრა და ამჟამად ვალდებულებების შესრულებლად. სოც შეჯიბრში ჯგუფში არის ჩაბმული მთლიანად, ხოლო დამკვრელად თავი გამოცხადებული აქვს 15 სტუდენტს.

ჯგუფს ჰყავს მოწინავე სტუდენტები ესენი არიან: **მეზურნიშვილი** (საშუალო ნიშნები პირველ სემესტრში 4,4), **მუღალიშვილი** (დახელოვნებულია ლიტერატურით, საშუალო ნიშნები 4,4), **გოგია ი.** (საშუალო ნიშნები 4,3), და სხვა. აღნიშნული ამხანაგები საზოგადოებრივ მუშაობაშიაც აქტიური არიან.

ჯგუფში ამასთანავე გაიშალა საზოგადოებრივი ბუქსირი ჩამორჩენილი სტუდენტების მიმართ (გამოყოფილია 7 კადრი დამკვრელი ამხანაგები). ლექციების გამცდენ სტუდენტების მიმართ მიღებულია ზეგავლენის ზომები, ჯგუფში შემოღებულია მოძრავი წითელი და შავი დაფა.

**ბ. კიწმარიშვილი**

## კომკავშირი პოლიტგანათლების ფრონტზე.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციამ პოლიტგანათლების ქსელში მე-17 პარტყრილობის შედეგების დამუშავების მიზნით ბოლშევიკური მუშაობა გაშალა. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით საგრძნობ შედეგებს მივაღწიეთ. სულ პოლიტსწავლელაში 312 კომკავშ. და კომკავშირის ასაკის უპარტიო ამხანაგია ჩაბმული.

უკანასკნელ მეცადინეობამდე ძალიან სუსტი იყო დასწრება. თუ 16 თებერვალს გაცდენა უდრიდა 24,7 პროცენტს, 4 მარტს გაცდენა უდრიდა 13,1 პროც. (ამაში შედის საპატიო მიზეზით გაცდენა). 4 მარტს ერთიანი პოლიტმეცადინეობის ჩატარების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ. კულტპროპსექტორის თათბირზე დავამუშავეთ საკითხი მორიგი პოლიტმეცადინეობის ერთიანი დღის ჩატარების შესახებ. მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით საკითხი დავამუშავეთ თვით ჯგუფებში, თითეულ სტუდენტს გავაცანით დასამუშავებელი თემა და მითითებულ იქნა ლიტერატურა. განსაკუთრებით ყურადღება მივაქციეთ საერთო საცხოვრებელში მუშაობას. ამ მიმართულებით მეექვსე კორპუსის წითელ კუთხეში მოვაწყვეთ ცალკე კუთხე საკუთარი მაგიდით მეჩვიდმეტე პარტყრილობის გამოქვეყნებული მასალებით. წითელი კუთხის კულტფონდის თანხებით შევიძინეთ 8 ცალი ბროშურა—ამხ. სტალინის მოხსენება მე-17 პარტპრილობაზე, და ა. კ. კომორგანიზაციების ყრილობის საქ. მასალები და ამხ. მანუილსკის და სხვა მოხსენების გაზეთში გამოქვეყნებული მასალები 3 ეგზემპლიარად გაზეთის სახით.

3 მარტს საერთოსაცხოვრებელში მოეწყო ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენების 1 თავის და ამხ. მანუილსკის მოხსენების 1-2 თვის კოლექტიური კითხვა ხმამაღლა.

4 მარტს პოლიტმეცადინეობის ერთიანი დღე დამაკმაყოფილებლად ჩავატარეთ. სულ მეცადინეობაზე გამოცხადდა 271 მსმენელი, არ გამოცხადდა 41, მათ შორის 14 საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, დროებითი შვებულება); დასწრების საქმეში აშკარა შეუფასებლობა გამოიჩინეს № 1 სკოლის მსმენელებმა. ამ სკოლის მსმენელები **ცინცაძე, კალატოზიშვილი, იმნაძე**, [illegible], **მჭედლიშვილი, ჩოლოყაშვილი, ინასარიძე** სისტემატიურად აცდენენ მეცადინეობას (გეოლ. 1 კურსი), სულ ამ ჯგუფიდან 17 მსმენელი არ ყოფილა მეცადინეობაზე. ამათ წინააღმდეგ ჩვენ აუცილებლად მკაცრი ორგზომები უნდა მივიღოთ.

მომავალ მეცადინეობაზე ჩვენ აუცილებლად უზრუნველყოფთ 100 პროცენტით დასწრებას საპატიო მიზეზების გამორიცხვით.

პროფკომმა უპარტიო ამხანაგების მიმართ, რომლებიც სისტემატიურად აცდენენ მეცადინეობას, საჭირო ზომები უნდა მიიღოს დაუყონებლივ.

განსაკუთრებულად კარგი მდგომარეობა გვაქვს პროპაგანდისტთა მომზადებულად მოსვლის საქმეში. პროპაგანტისტებს აქვთ შედგენილი საუბრის გეგმა, მსმენელებს უთითებენ ლიტერატურაზე და სისტემატიურად ამოწმებენ შეთვისების მდგომარეობას. ასეთებია: № 6 სკოლის პროპაგანდისტი **ს. გამცემლიძე**, № 4 სკოლის—**ი. აბესაძე**, № 8 სკოლის—**ანდღულაძე** და სხვა. უკანასკნელი მეცადინეობაზე უზრუნველყოფილ იქნა პოლიტინფორმაციის ჩატარება. პოლიტინფორმაცია ჩატარებული იქნა ამხ. დიმიტროვის, ტანევის და პოპოვის მოსკოვში ჩამოსვლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ პოლიტსკოლებში გაშლილია მუშაობა დამკვრელ პროპაგანტისთა და მსმენელთა შეკრებისათვის.

სოცშეჯიბრებში ჩაბმულია 199 მსმენელი, დამკვრელობაში 71; რესპუბლიკანურ კონკურსში ჩაბმულია 4 სკოლა და პროპაგანდისტი. ამ დარგში ჩვენ ჯერ აღებულ ვალდებულებების შესრულება არ შეგვიმოწმებია, რასაც განსაკუთრებული ყურადღებას მოვაქცევთ. ამასთანავე საჭიროა გადამწყვეტი ზომები მივიღოთ იმ პროპაგანტისტების მიმართ, რომლებიც სემინარს არ ესწრებიან და ზოგიერთებიც მეცადინეობებს აცდენენ.

2 მარტს პროპსემინარზე არ გამოცხადებულა ამხ. **ჩარკვიანი და კაკაბაძე.**

პროპაგანტისტი **კაკაბაძე** ხშირად აცდენს პოლიტმეცადინეობებს, რაც იწვევს სკოლების გაერთიანებას.

პოლიტსკოლების ნორმალურ მუშაობას აგრეთვე ხელს უშლის ის გარემოება, რომ პოლიტმეცადინეობის დღეებში იწვევენ კრებებს, ფიზკულტურის წრეების მეცადინეობას და მსმენელები დაღლილი მოდიან პოლიტმეცადინეობაზე. პოლიტმეცადინეობის დღეს სავსებით უნდა აიკრძალოს ყოველგვარი კრებები; ორგანიზაციებმა კრებებისათვის და სხვა წრეების მუშაობისათვის სხვა დღეები შეარჩიონ. ამის შესახებ სათანადო დადგენილებებიც არსებობს.

დამკვრელ პროპაგანდისტთა და მსმენელთა შეკრებას საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კომკავშირის პოლიტსკოლები აღნიშნულ ნაკლთა სრული ლიკვიდაციით შეხვდებიან.

**ტ. ჩიჩუა**

# უნივერსიტეტის სტამბის მოწყობის გამო.

უკვე ფაქტია, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი სტამბა მოეპოვება, მაშასადამე, შექმნილია ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტის გამომცემლობის სათანადოდ დაყენებისა და მოწესრიგებისათვის. ეს ფაქტი უაღრესი მნიშვნელობისაა. მართლაც, უნივერსიტეტის სტამბა ჩანასახია დიდისა და ყოველმხრივად მოწყობილის სამეცნიერო სტამბისა, რომლის შესახებ დიდი ხანია ოცნება იყო აქაურ სამეცნიერო წრეებში, მაგრამ რომლის განხორციელება და მოგვარება მხოლოდ ეხლა მოხერხდა უნივერსიტეტის რექტორის პროფ. **ლ. აღნიაშვილის** თაოსნობითა და მხნეობით. ტფილისში ამჟამად რამოდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტია, რომელთა სამეცნიერო მუშაობისა და საქმიანობის გამოჩენა ბევრად დამოკიდებულია სტამბისაგან, მაგრამ აქამდე ტფილისში არ იყო არც ერთი სტამბა იმდენად მოწყობილი, რომ სავსებით დაეკმაყოფილებინა ამ დაწესებულებათა მრავალფეროვანი მოთხოვნილება. ამ მხრივ უნივერსიტეტის სტამბის მოწყობა დიდ ნაბიჯს წარმოადგენს



ცომაშვილი რაისა.
**ლიტოგრაფიის დამკვრელი მუშა.**

წინ [illegible]ადადგმულს და მისი დაარსების დრო მოსახვევ პუნქტად უნდა იქნეს მიჩნეული სამეცნიერო გამოცემების დარგში.

როცა ვერ იბეჭდება ნაშრომი, ავტორს ეკარგება ხალისი მუშაობისა: სულ ერთია მაინც არ დაიბეჭდებაო,—ფიქრობს იგი და თავს აღარ იწუხებს მოფიქრებული თემის დაწერისათვის, ან უკვე წამოწყებული შრომის დამთავრებისათვის. პირიქით, როცა შრომები იბეჭდება, ეს ხალისს ჰგვრის, ძალას ჰმატებს და აქეზებს მუშაკს შემდგომი მუშაობისა და წინსვლისათვის. ტფილისში აქამდე არსებული სტამბები გაჭედილი იყო სამუშაოებით და ძლივს აუდიოდა ძალზე გაზრდილ მოთხოვნილებას წიგნების გამოცემის საქმეში. მათ არ ეცალათ უნივერსიტეტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათათვის. ამ მდგომარეობის გამოსწორება სპეციალური სტამბის შექმნით შეიძლებოდა და აი უნივერსიტეტის სტამბა გამოდის ამ როლში. მან იგივე სამსახური უნდა გაუწიოს ქართულ სამეცნიერო აზროვნებას და საქმიანობას, რასაც ეწევა რუსეთისათვის საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ჩინებულად მოწყობილი სტამბა ლენინგრადში.

რა არის სამეცნიერო სტამბისათვის აუცილებელი და რითი უნდა განირჩეოდეს იგი სხვა სტამბებისაგან უმთავრესად? მთავარია აქ, რომ სამეცნიერო სტამბა უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა სპეციალური ნიშნებით, როგორიცაა მათემატიკური და სხვა. უნივერსიტეტის სტამბაში შესაძლებელი უნდა იყოს აწყობა ყოველგვარი სამეცნიერო წიგნისა იმ დარგებიდან, რომლებიც უნივერსიტეტშია წარმოდგენილი. ამას გარდა აქ შესაძლებელი უნდა იყოს აწყობა წიგნისა არა მარტო ქართულად და რუსულად, არამედ აგრეთვე სომხურად, თურქულად, ოსურად, აფხაზურად, დაღესტანის ენებზე, არაბულად, სპარსულად, ბერძნულად, გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად და სხვა. სტამბას უნდა მოეპოვებოდეს ამ ენებისათვის საჭირო შრიფტები საკმაო რაოდენობით.

თუ რამდენად ხელის შემშლელია შრიფტების უქონლობა სამეცნიერო გამოცემებისათვის, შემდეგი მაგალითიც ცხადად გვიჩვენებს: 1922—23 წლებში ძლივსძლიობით აიწყო და დაიბეჭდა „უნივერსიტეტის მოამბის" მეორე ტომი პოლიგრაფ-ტრესტის მესამე (ამჟამად პირველ) სტამბაში კეცხოველისა და ფირცხელაძის ქუჩის კუთხეში), სტამბაში, რომელიც ერთი საუკეთესოთაგანი იყო და არის ტფილისში. ამისი მიზეზი ის იყო, რომ სტამბას ისე ცოტა აღმოაჩნდა ლათინური შრიფტი, რომ დიდის გაჭირებით ხერხდებოდა აეწყო თითოთითო ფორმა (თექვსმეტ-თექვსმეტი გვერდი) პროფ. ს. ვირსალაძის გამოკვლევისა გერმანულ ენაზე. ეს კიდევ არაფერი. იმავე ტომში თუ მოხერხდა დაგვებეჭდა ნაწყვეტი ჰომიროსის ტექსტისა, ეს იმის წყალობით, რომ ბერძნული ტექსტი, სულ რაღაც 21 სტრიქონისაგან შემდგარი, გაიყო: 16 სტრიქონი ერთ ფორმაში მოჰყვა და ხუთი სხვაში და რადგანაც მთელი ტექსტის ასაწყობად ზოგიერთი ბერძნული ასო გვაკლდა, ამიტომ წინა ფორმის დაბეჭვდის შემდეგ ის ასოები ამოვაცალეთ და შემდეგი ფორმაში ჩავსხით. ბერძნული ასოების ნაკლებობა ტფილისში აბა რა გასაკვირველია, როცა ხანმეტი ტექსტების ბეჭდვაც ჟურნალის იმავე ტომში ასეთი ვაი-ვაგლახით გვიხდებოდა. კიდევ მეტი. იმავე სტამბამ, მათემატიკურ ნიშანთა ნაკლებობის მალღ, სრულიად ვერ შეძლო აეწყო პროფ. ა. რაზმაძის გამოკვლევა, რომელიც აწყობილ და დაბეჭდილ იქნა პირველ სტამბაში (ამჟამად რომ სახელგამისაა, პლეხანოვის პროსპექტზე). ამ უკანასკნელ სტამბაში იქნა გადატანილი „მოამბის" შემდეგი ტომების აწყობა და ბეჭდვა, მაგრამ შრიფტების უქონლობა იქაც ძალიან გვიშლიდა ხელს. ყოფილა შემთხვევა, რომ ზოგი ნიშანი, რომელიც საჭირო იყო წიგნისთვის, ექვსიოდე სტამბაში მოგვიკითხავს, მაგრამ ვერ გვიშოვნია. ასეთ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ეპიგრაფიკული მასალების ბეჭდვა ან გადადებული იყო მომავლისათვის, ან კიდევ მხედრული ტრანსლიტერაციის საშუალებით ხდებოდა.

ეხლა საქმე გამოსწორებულია. უნივერსიტეტის სტამბას ამ მხრივ დაბრკოლებანი არ ექნება: მას არ მოაკლდება მზრუნველი ხელი, რომელიც დროულად იფიქრებს მის ტექნიკურად გაუმჯობესებაზე. უკვე ახლა ჩვეულებრივი შრიფტების გარდა (ქართულად და რუსულად) შეძენილია მათემატიკური და სხვა ნიშნები, ჩამოსხმულია ძველი ქართული შრიფტი (ლენინგრადის მესამე ინტერნაციონალის სახელობის ასოთ ჩამომსხმელ ქარხანაში საგანგებოდ შეკვეთილი ყალიბების მიხედვით), შეკვეთილია ჩამოსასხმელად სხვადასხვა შრიფტი (არაბული, სომხური, ლათინური, ასურული და სხვ), დაჭერილია თადარიგი სტამბის შემდგომი გაფართოებისათვის, ერთი სიტყვით მიღებულია გადამჭრელი ზომები სამეცნიერო სტამბის სათანადოდ მოწყობისა და დაყენებისათვის.

ვუსურვოთ მას წარმატება!

პროფ. **ა. შანიძე**



ალ. ბეგიაშვილი.
**ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის მისტრაფის, დამკვრელი, პროგრამების ბეჭდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პირველ ხემას სტრში, დაჯილდოებულია ერთითვის ხელფ-იეთ**

## მივბაძოთ მოწინავეებს.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გაერთიანებული ჯგუფი (73, 74, 75) უკანასკნელ მეცადინეობაზე დასწრებისა და მიცემულ ვალდებულებათა შესრულების მხრივ ძლიერ ჩამორჩება. ბევრმა სტუდენტმა არ ცოდნის გამო უარი განაცხადა ხელმძღვანელის მიერ გამახების დროს. დასწრების მხრივ ძლიერ ჩამორჩებიან **სტ. გაჩეჩილაძე** (ხუთი გაცდენა), თარგანაძე (3 გაცდენა), თევზაძე (5 გაცდენა).

მაგრამ გვყავს აგრეთვე სტუდენტები, რომლებიც მაგალითის მიმცემი არიან სამხედრო ცოდნის შეთვისების მაღალი ხარისხით და დისციპლინით: ნური ნიჟარაძე, ქ. ახვლედიანი, ვ. ტყეშელაშვილი, გ. დონდოლაძე.

მივბაძოთ ამ მოწინავეებს.

**გ. ჯაფარიძე**
**ი. ოკუჯავა**

## შეცდომის გასწორება.

**რეცენზიაში პროფ. მ. შალამბერიძის წიგნზე („ბ. კ." № 2) გაიპარა შეცდომა: უნივერსიტეტის პარტკომიტეტის დადგენილება ხსენებული წიგნის ხმარებიდან ალკვეთის შესახებ გამოტანილი იყო არა 17 დეკემბერს, არამედ 14 ნოემბერს.**

# ქალი—სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე

## ოქტომბრის მიერ განთავისუფლებულნი

მსოფლიო პროლეტარიატის უსაყვარლესი ბელადი და მასწავლებელი ამხ. **ლენინი** მუშა ქალთა სრულად რუსეთის პირველ ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, არ არსებობს ქალთა სრული თავისუფლება. „ჩვენმა კანონმა ისტორიაში პირველად ამოშალა ყოველივე ის, რაც ხდიდა ქალს უუფლებოდ, მაგრამ საქმე კანონში კი არ არის... ქალის მდგომარეობა დღემდე იყო ისეთი, რომ მას უწოდებენ მონურს, ქალს აღრჩობს თავის საოჯახო მეურნეობა და ამ მდგომარეობიდან მისი ხსნა შეუძლია მხოლოდ სოციალიზმს, მხოლოდ მაშინ, როცა წვრილი მეურნეობიდან ჩვენ გადავალთ მიწის საერთო დამუშავებაზე“.

ლენინის ეს იდეალი მისი საუკეთესო მოწაფის ფოლადისებური **სტალინის** ხელმძღვანელობით, შესრულებულია. საკოლმეუნეო წყობილობის გამარჯვება სოფლად ეს უდიდესი „ხსნაა“ ქალისა იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ლენინი „მონურს“ უწოდებდა. მხოლოდ ოქტომბერმა შექმნა ისეთი პირობები, რომელშიც ქალი უფლებრივად სრულიად გათანასწორებულია მამაკაცთან. ლენინის ზემოდ აღნიშნული დებულებები საფუძვლად დაედვა პროლეტარიატის პარტიისა და მისი ხელისუფლების თეორიას და პრაქტიკას ქალთა საკითხში.

კაპიტალისტური საზოგადოების ექსპლოტატორულ სისტემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული კაპიტალისტურ სამყაროში ქალის შრომის გამოყენება. იქ ქალის და ბავშის ექსპლოტაცია უმაღლეს მწვერვალს აღწევს. მათი შრომა ყველაზე იაფი შრომაა. ძალიან დიდი სამუშაო დღე, უაღრესად შემცირებული სამუშაო ხელფასი, ქალთა შრომის ბარბაროსული პირობები და ქალის არაკვალიფიციურ სამუშაოებზე გამოყენება, ყველა ეს ერთად აღებული საუცხოვოდ გვისურათებს ქალის მდგომარეობას, როგორც მეფის რუსეთში, ისე დღევანდელ კაპიტალისტურ სამყაროში.

ამხ. სტალინისადმი მიმართულ წერილში ლენინგრადის მუშა ქალები მკვეთად ახასიათებენ თავიანთ მდგომარეობას მონარქიზმის დესპოტიური ხელისუფლების დროს: „ყველაზე დიდი ტანჯვა—ესაა ექსპლოტატორების მიერ სამკეცად დაკაბალებული მუშა და გლეხქალის ტანჯვა... წარმოებაშიაც ოჯახშიაც და საზოგადოებაშიაც ის ყველგან თავს მონათ გრძნობდა... ერთ ლუკმა მწარე პურისთვის დღეში 12 საათს ვმუშაობდით. ბავშვებს ვკეტავდით სარდაფებში, რომელსაც „მუშის ბინა ეწოდებოდა“.

როგორია ქალის მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში?

ქალი დღეს უკვე მონა აღარ არის. იგი დიადი სოციალისტური აღმშენებლობის აღფრთოვნებული მონაწილეა და მამაკაცს თავისუფლად უდგას მხარში. საბჭოთა—კავშირის მუშა ქალი დღეს უდიდეს როლს ასრულებს, როგორც ჩვენი მრეწველობის ისე საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებაში.

პირველი ხუთწლედის მანძილზე ქალთა რიცხვი საქართველოს მრეწველობაში თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. 1932 წელს მრეწველობაში მუშაობდა 15.767 ქალი,



დოც. ვარდიკო მოსეშვილი.
დამკვრელი, გეგმებს ასრულებს გადაჭრბებით.

1928 წ. კი—4.693 ქალი; 1933 წ. ქალთა რიცხვი მრეწველობაში 17.215 კაცს უდრის. თუ ქალთა ხვედრითი წონა ჩვენს მრეწველობაში 1928 წ. 19,0 პროცენტი იყო, 1933 წ. იგი დიდდება—32,0 პროცენტამდე.



დამძ. ასისენტ. მარო ხუნდაძე

კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა ქალთა შრომა სოფლის მეურნეობაში და სატყეო მეურნეობაში, სადაც ქალთა რიცხვი პირველი ხუთწლედის პერიოდში 16-ჯერ გადიდდა.

ამხ. სტალინმა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე უდიდესი როლი მიანიჭა ქალთა შრომას სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში: ქალთა საკითხი კოლმეურნეობაში დიდი საკითხია, ამხანაგებო... ჩვენი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ წინ წავწიოთ ქალები კოლმეურნეობებში და საქმეში ჩავაბათ ეს ძალა... რაც შეეხება თვით კოლმეურნე ქალებს, მათ უნდა ახსოვდეთ კოლმეურნეობათა ძალა და მნიშვნელობ ა ქალებისათვის, უნდა ახსოვდეთ, რომ მხოლოდ კოლმეურნეობაში აქვთ მათ შესაძლებლობა თანასწორად გვერდში ამოუდგენ მამაკაცს. კოლმეურნეობათა გარეშე უთანასწორობაა, კოლმეურნეობებში—თანასწორობაა. დეე, ახსოვდეს ეს ამხანაგ კოლმეურნე ქალებს და დეე გაუფრთხილდენ ისინი საკოლმეურნეო წყობილებას, როგორც თვალის ჩინს“.



კრიჭიაშვილი ლუბა.
დეპ. საბჭოს აქტივისტი აქტიურად მუშაობს სადეპ. ჯგუფში და რაისბჭოს სადინანსო სექციაში.



ამხ. ტატინა სანაძე.
დამკვრელი ასპირანტი (მე-III კურსი)

მუშათა კლასის საყვარელ ბელადის ლენინის ანდერძი, რომ სოციალიზმი ვერ გაიმარჯვებს ქალების გარეშე უკვე განხორციელებულია პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში,—განხორციელებულია ლენინის პარტიის და მისი დიდი ებლადის სტალინის მეთაურობით.

**ანა. ნიკოლაძე**

## იბრძვიან მეცნიერული მწვერვალების დასაპყრობად

სხვადასხვ ჯურის ინტელიგენტებსი ლაპარაკი ქალთა გათნვისუფლებაზე მხოლოდ ცარიელი ფრაზა იყო, მხოლოდ ბოლშევიკები იბრძოდეენ ქალთა ნამდვილი განთავისუფლებისათვის, ვინაიდან მხოლოდ ისენი იბრძოდნენ ნამდვილად კაპიტალიზმის დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.



გოდერიძე მარგალიტა.
დამკვრელი სტუდენტი საუკეთესო პარტ. ორგი (ეკონომ. ფაკ. მნ-III კურ. მე-8-ჯგუფი.

მხოლოდ ოქტომბერმა შექმნა ნამდვილი პირობები მშრომელი ქალის ფაქტიური განთავისუფლებისათვის, მშრომელი მასების საცხოვრებელი პირობების ბუმბერაზული გაუმჯობესება, საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლება, ანთავისუფლების ქალს მთელ რიგ წვრიმალ, შემბორკველ პირობებისგან, საშვალებას აძლევს მას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში. მილიონი ქალები, საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე, ფაბრიკაქარხნებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, რკინისგზის და საზღვაო ტრანსპორტზე, ავიაციაში და ავტ-ტრანსპორტზე, უმაღლეს სასწავლებლებსა და საკვლევ ინსიტუტებში, ბრძოლაში ყინულოვან არქტიკის დაპყრობისათვის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ფრონტზე—ყოველდღიურად ამსხვრევენ ბურჟუაზიულ „სწავლუთა“ „თეორიებს“ ქალების ბუნებრივი ინტელექტუალურ უძლურებისა და ჩამორჩენილობის შესახებ. მილიონი ქალები გმირულად და მხარდამხარ იბრძვიან მამაკაცის გევრდით ახალი საზოგადოების შექმნისათვის, იძლევიან მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს.

ჩვენს უნივერსიტეტსაც ჰყავს ბევრი ისეთი მოწინავე სამეცნიერო მუშაკი და სტუდენტი ქალები, რომლებიც წარმატებით იბრძვიან მეცნიერული მწვერვალების დასაპყრობათ.

ავიღოთ ჩვენი საბუნების მეტყველობის ფაკულტეტი:

**დოც. ვ. მოსეშვილი**—არის დამკვრელი, ენერგიულად იბრძვის სასწავლ გეგმების შესრულებისათვის, ყოველთვიურად ზედმეტად 10 საათი აქვს გამოყოფილი ასპირანტთა კონსულტაციისათვის, ეხმარება საშუალო სკოლების კიმიკოს მასწავლებლებს (კონსულტაციებით, პრაქტიკული მითითებებით დ სხვა.) აქვს მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებიც უმთავრესად შეეხება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრნებს.

**დოც. ქს. ცხაკაია** (ბოტანიკის კათედრა)—აქტიურად იბრძვის სოც. შეჯიბრების მუხლების შესასრლებლად, ენერგიულად მუშაობს იმისათვის, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნას სახელმძღვანელოებით, ეწევა ფართო კვლევითი მუშაობას.

**ტატიანა სანაძე**—მესამე კურსის ასპირანტი არაორგანიულ ქიმიაში, მოსკოვში სამეცნიერო მივლინების დროს წარმატებით დაამუშავა რამდენიმე თემა. აქტიურად მუშაობს სტუდენთა სამეცნიერო წრეში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

**ნინო მაზანაშვილი**—მესამე კურსი ასპირანტი სასურსათო ქიმიაში, დამკვრელი. მოსკოვში მივლინებს დროს მუშაობად ასპირანტურაში, და წარმატებით დაამუშავა მიცემული სამეცნიერო თემა. სამეცნიერო წრეში წასკითხავად გამზადებული აქვს მოხსენება. სთარგმნის ცხიმთა ქიმიის კურს. სანიმუშოდ ასრულებს პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს.

**პ. კილოსანია**—პირველი კურსის ასპირანტი, დამკვრელი კომკავშირელი, მუშაობს მინერალოგია—პეტროგრაფიის კათედრასთან. არა აქვს არც ერთი გაცდენა. საზოგადოებრივ და პარტიულ დავალებებს სანიმუშოდ ასრულებს.

**ვ. რუსიაშვილი**

## გერმანული ფაშიზმი და რელიგია

მე-**XVII** პარტ. ყრილობაზე თავის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოხსენებაში ჩვენი დროის პროლეტარული იდეოლოგიის უდიდესმა თეორეტიკოსმა და მესიტყვემ. **სტალინმა** გერმანული ფაშიზმი—ე. წ. ნაციონალ-სოციალიზმი სააშკაროზე გამოიტანა. ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ გერმანული ფაშიზმის მსოფლმხედველობაში ერთი ატომი სოციალისტური ელემენტიც კი არ ურევია და გასაკვირია, თუ რა უფლებით ამკობენ ეს ვაჟბატონები რაღაც „სოციალისტურობის“ ეპეტეტით თავისი ფაშისტურ ნაციონალიზმს.

გერმანელი ფაშისტები თავიანთი „სოციალიზმით“ დღეს ველარავის შეაცდენენ. როგორც თვითეულმა გერმანელმა მუშამ, ისე იცის დღეს, თვითეულმა მოქალაქემ მთელ მსოფლიოში რომ სიტყვა „სოციალიზმი“ ფაშისტურ ლექსიკონში დემაგოგიის ხერხი იყო, ფაშისტური ალტყინების პირველს დღეს, მასების მოსატყუებლათ გამოგონილი...

ხალხი, რომელიც კოცონით უმასპინძლდება არა მარტო მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ნაწერებს; არამედ ბურჟუაზიული რადიკალიზმის ძველ ავტორებსაც კი, ხალხი, რომელიც ზიზღით იხსენებს გენიალურ პოეტს ჰაინრიხ ჰაინეს და ახალგაზრდობას უკრძალავს მისი ლექსების წაკითხვას, ამ ხალხს მგონია ბევრი არ მოეთხოვება კულტურისა და ცივილიზაციის საკითხებში.

თუ გერმანული ფაშიზმის ეს „კულტურული“ თარეში კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდა, მაშინ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანია, ოდესღაც ქვეყანა მეცნიერების და ფილოსოფიის, აზრის და სიტყვის, მუსიკის და პოეზიის, გერმანია კანტის, ჰეგელის და გიოთეს, გერმანია ბეთხოვენის და ვაგნერის, გერმანია გაუსის, და აინშტაინის, ისტორიის საგნათ გადაიქცევა. თუ ოდესღაც ყველა ქვეყნის აზრისა და ცოდნის წყურვილის მქონე ახალგაზრდა გერმანიაში მიდიოდა, ფაშიზმის გერმანიაში, მგონია, აღარავინ წავა. ფაშიზმა მსოფლიო კულტურის კარები გამოხურა და თავისი თავი მის გიღმა მოათავსა. ამ განადგურებული და რეაქციონური საქმისათვის ფაშიზმა იშოვა ერთი მოძმე და ერთგული თანამშრომელი.—ეს არის გერმანული ეკლესია ორივე ჯურის—კათოლიკურიც და პროტესტანტულიც. იშვიათი კონტაქტი და ჰარმონია დამყარდა ეკლესიას და ფაშისტურ სახელმწიფოს შორის. ფაშიზმა პოლიტიკური ასპარეზიდან გარეკა კათოლიკური ცენტრის პარტია, ამიტომ უნდა გვეფიქრა რომ იდეოლოგიური კონფლიქტი დაიწყებოდა ჰიტლერიზმსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის. არაფერი ამის მსგავსი! რომის პაპმ ჰიტლერი ბოლშევიკების ხელიდან მსოფლიოს მხსნელათ აკურთხა, ხოლო მიუნხენელი პაპის ნუნციუსი ჰიტლერს აბარებს კათოლიკე ძმათა პატრონობის საპატიო საქმეს! ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირს!..

მსოფლმხედველობა და „თეორია“ ეკლესიის და ფაშიზმის ჰარმონიულად არიან ერთმანეთთან განწყობილი. ფაშიზმი რომ სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ბურჟუაზიული იდეოლოგია უკვე თეოსოფიით და მისტიკით დაავადებული იყო, მისტიკა შეიჭრა არა მარტო ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, არამედ ფიზიკის და მათემატიკის ზოგიერთ პრობლემასაც კი დაეუფლა იგი. ფაშიზმა, რასაკვირველია, ხელი შეუწყო ამ ტენდენციების გაღრმავებას, გაბედული ბურჟუაზიული მეცნიერი, რომელსაც კიდევ შერჩენოდა მეცნიერებაში მოცემული სტიქიური მატერიალიზმი ან და ფაშისტური ბატონები არ მოსწონდათ, სხვა და სხვა საპატიო და არა საპატიო მიზეზების გამო უნივერსიტეტის კათედრებს მოაშორენ, რელიგიური მისტიკისათვის გზა გაიკაფა. მაგრამ ეკლესია რის ეკლესია იქნებოდა რომ, ამ მარტო იდეალური ბუნების საჩუქრებით დაკმაყოფილებულიყო იგი! იდეა იდეიისათვის, მაგრამ ანგარება და პრაქტიკაც საჭიროა სასულიერო წოდებისათვის. და სწორეთ ჰიტლერის სახელმწიფომ არც პრაქტიკულ სფეროში დასტოვა ეკლესიის მამები თავის გერმანულ „რასიული და ვაშკაცური“ ყურადღების გარეშე, მან გამოსცა ხელახლა მონათვლის კანონი. მკითხველს ჰგონია ნამდვილად, მე მას უყვები საშუალო საუკუნოების „ხელახლავ-მონათლულების ლეგენდას. არა! ეს ამბავი დღეს ხდება „განათლებულ და კულტურულ-გერმანიაში! ბურჟუაზიული რესპუბლიკის დროს მოსახლეობის ათეისტიურათ გაწყობილმა ნაწილმა თავიანთი შვილები მოუნათვლელი დასტოვეს. მეტნაწილათ, რასაკვირველია, ეს მუშა-კომუნისტის შვილები იყო. სწორეთ ამათ მიმართ გამოვიდა სავალდებულო მონათვლის დადგენილება, ეკლესიამ იშოვა საქმე! კვირა დღეებში დილიდან საღამომდე სწარმოებს მონათვლის პროცედური. მღვდლებს გაზეპირებული აქვთ: „ახალგაზრდებო, სახელმწიფომ გამოასწორა თქვენი დედმამის დანაშაული, თქვენი თავი სახელმწიფომ დაუბრუნა ღმერთს.. და სხვადასხვა. პატივისცემის ღირსია, რასაკვირველია, ასეთი სახელმწიფო!!.. აი ფაშისტური „აღალი რასისკულტურული საქმიანობა. რელიგიას უცნაური ბუნებაა აქვს—ყველა ბატონთან და ხალხის უზურპატოსთან მას შეთანხმება შეუძლია. გერმანული ფაშიზმის დარელიგიის კავშირი ისტორიულ გამონაკლის არ შეადგენს!—კარლ მარქსმა რელიგიის შესახებ გვასწავლა, რომ იგი მასების ცნობებისათვის ოპიუმია. ასეთი ნაციონალური ოპიუმია გერმანიისათვის ფაშიზმიც. გერმანიის პროლეტარიატს ორი ბორკილი აქვს დასამტვრევი, მას ორნაირი ოპიუმის ბურუსი აქვს გასაფანტავი, ფაშისტურიც და რელიგიურიც.

არავინ იფიქროს, რომ გერმანიის პროლეტარიატი უკან დაიხევს. პროლეტარიატი, რომელმაც კაცობრიობას მარქსიზმი მისცა, უკან არ დაიხევს, ორივე ბურუს გაფანტავს.

**პროფ. მ. გოგოგერიძე**

# ჩვენი მოწინავეები
## (ეკონ. ფაკულტეტი).

ჩვენს ფაკულტეტზე გვყავს მთელი რიგი საუკეთესო სტუდენტი-ქალები.

აი, მაგალითად, ამხ. **მარგარიტა გოდირიძე,** რომელმაც პარტმასიური მუშაობის გაშლით, წითელი და შავი დაფის შემოღებით მიაღწია იმას, რომ ჯგუფში თითქმის სრულიად მოისპო ლექციების უმიზეზოდ გაცდენა და ლექციებზე დაგვიანება. ამხ. გოდირიძემ სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გაშლით, საზოგადოებრივი ბუქსირის სწორი ორგანიზაციით ჩვენი—მერვე ჯგუფის თითეული სტუდენტი დარაზმა სწავლების მაღალი ხარისხისათვის საბრძოლველად. საშუალო ნიშანი ჯგუფის თითეულ სტუდენტზე მოდის 4. თვით ამხ. გოდირიძე სანიმუშოდ ამართლებს პარტიის წევრის ავანგარდულ როლს და საგნების მეტი წილი „ფრიად“-ზე აქვს ჩაბარებული. ამხ. გოდირიძე არ ჩამორჩება აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაშიც და აქაც მაგალითის მაჩვენებელია.

მარგარიტა გოდირიძე მარტო არ არის. მასები სანიმუშო მაგალითს იძლევიან სწავლაში და საზ.—პოლიტ. მუშაობაში ამხ. ელ. მიქელაშვილილი, ევგენია მიქელაძე, ანეტა ჩავლეშვილი, ვალენტინა ლატარია, რიტა ხუდადოვა თამარ მაჩალაძე, ზინა ერქიმაიშვილი, თამარ პაიჭაძე, ნინა მატატაშვილი და სხვ.

**შურა მენაბდე.**

# დამკვრელი ჯგუფხელი

**ვერა ხარანაული**

ისტორიული ლიტერატურული ფაკულ. ქართული სექციის მესამე კურსის სტუდენტი ქალები უდიდესი მიღწევებით შეხვდენენ ქალთა საერთაშორისო დღეს—რვა მარტს.

ჯგუფში მყოფ 10 ქალიდან თითქმის ყველა სოც. შეჯიბრშია ჩაბმული. დამკვრელობის გეგმა სანიმუშოდ შეასრულეს შემდეგმა ამხანაგებმა: **ვერა ჩხიიძემ, მერი ადამიამ, კატო თოდრიამ და სხვ.**

ქართულ სექციის მესამე კურსის დამკვრელ სტუტენტ ქალებიდგან განსაკუთრებით გამოირჩევა **ამხ. ვარა ხარანაული.** რომელიც ამავე დროს არის ჯგუფხელი.

**ამხ. ხარნაულის** ჯგუფი იცნობს, როგორც საუკეთესო კომკავშირელს. რომელიც პირნათლად და დროულად ასრულებს ყოველგვარ საზოგადებრივ დავალებებს, ამასთნ ერთად იგი იბრძვის სწავლების მაღალი ხარისხისთვის, რის დამამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოდ პირველი სემესტრის შედეგები. პირველ სემსეტრში მას ყველა საგნები ჩაბარებული აქვს ფრიადებზე და კარგებზე. დამკვრელობის მუხლები შესრულეაული აქვს მთლიანად.



დამკვრ. ასპირანტი ნინა მაზანაშვილი.
(მე-III კურსი)

სასურველია სხვა ჯგუფის სტუტენტმა ქალებმაც მიჰბაძონ საუკეთესო დამკვრელ სტუდეტის—ხარანულის მაგალითს.

**ამხანაგები**

# ქალთა დღე სტ. ქალაქში

ქალთა დღის აღსანიშნავად სტუდენტთა ქალაქის სხვადასხვა კორპუსებში მოეწყო სპეციალური კრებები და მოხსენებები. მეექვსე და მეშვიდე ოკრპუსში მოხსენებები გააკეთეს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მიერ გამოყოფილმა ამხანაგმა ანგ. გოგუაძემ და ი. შარაშენიძემ.

მეექვსე კორპუსში სიტყვით გამოსულმა სტ. ქალებმა ამხ. **ე. კუჭავამ** (დამკვრელი) და სხვ. მიიღეს კონკრეტიული ვალდებულებები—აკადემიური, საზოგადოებრივ—პოლიტიკური მუშაობის დარგში, საერთო საცხოვრებლებში წესრიგის და სისუფთავის დაცვაში და სხვ.

განსაკუთრებით კარგად ჩატარდა ქალთა დღე მეშვიდე კორპუსში, სადაც კამათში მოხსენებით გამოვიდა 13 კაცი და გამოსულმა სტუდენტებმა მიიღეს მთელი რიგი ვალდებულებები ქალთა დღესთან დაკავშირებით.

**დამსწრე**



ბროძელი ანა
**დამკვრელი დარაჯი**

## საზეიმო სხდომა უნივერსიტეტში

8 მარტს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგა მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა.

საზემო სხდომა გაიხსნა **ამხ. მენაბდის** ვრცელი შესავალი სიტყვით, რის შემედეგ—კრებამ ქალთა დღის და მისი ამოცანების შესახებ—მოისმინა ამხ. **ტულუშის** მოხსენება.

ამხ. **ტულუშის** მოხსენების დამთავრების შემდეგ საზეიმო სხდომას მიესალმენ:

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის სახელით ამხ. **ოთხმეზური,** რომელმაც კრებას აუწყეა რომ მოსწავლე კომკავშირელი ქალები მთელი მონდომებით იბრძვიან სწავლის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

გარდა ამისა საზეიმო სხდომას მიესალმნენ: პროფ. **გ. ნათაძე,** დოც. **ვ. მოხევშვილი,** ასპ. **ტ. სანაძე** და სტ—თა. სახელით **ნ. მატატაშვილი** და სხვა.

მისასალმებელი სიტყვების დამთავრების შმდეგ მოხდა საუკეთესო დამკვრელ ქალთა დაჯილდოება. დაჯილდოებული იქნე: **ბერაია ნინა** (ერთი თვით სანატორიუმში გაგზავნით) მენამბდე შურა, ჩიხლაძე, კვეკვესკირი (ერთი თვის სტიპენდიით).

## პროფ. თავზარაშილის მოხსენება პლეხანოვის კლუბში.

1—ლ მარტს ტფ. სახ. უნივერსიტეტის მებრძოლ ულმერთოთა საბჭომ ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშებისათვის პლეხანოვის სახელობის კლუბში მოაწყო პროფ. **გ. თავზარაშვილის** მოხსენება თემაზე; „რელიგიის წარმოშობის სოციალური საფუძვლები“. მოხსენებას დაესწრო ორი ათასამდე მუშა, რომლებმაც უდიდესი ინტერესით და ყურადღებით მოისმინეს შინაარსიანი და გასაგები ენით გაკეთებული მოხსენება.

ამ ინტერესს ცხადყოფდა ის მრავალრიცხოვანი შეკითხვები, რომელიც მომხსენებელს მისცეს აუდიტორიიდან.

დამსწრე მუშები უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ტფ. სახ. უნივერსიტეტის ამ ინციატივის გამო, რომელიც მიზნათ ისახავს სამეცნიერო მუშაკების მჭიდროთ დაახლოვებას მუშათა მასასთან და სურვილი გამოსთქვეს, რომ უნივერსიტეტმა სისტემატიური ხასიათი მისცეს ამგვარი მოხსენების ორგანიზაციას.

**ი. შარაშენიძე**

## ფიზიკის სამეცნიერო წრის მუშაობა

ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე, კერძოთ ფიზიკის კათედრასთან, არსებობს სტუდენტთა ფიზიკის სამეცნიერო წრე, რომელმაც უკანასკნელი დროში გაშალა ინტენსიური მუშაობა.

სტუდენტობა ჩაბმულია წრეში 100 პროც. ყოველ თვეში ორჯერ ტარდება სტუდენტთა მოხსენებები სამეცნიერო თემებზე. მოხსენებები ტარდება აგრეთვე ლექტორების მიერ თვეში ერთჯერ.

წრის სამთვიანი სამუშაო გეგმა შესრულებულ იქნა 104 პროც. უნდა ავლნიშნოთ, რომ ფიზიკის სამეცნიერო წრის ასეთი მუშაობა მაჩვენებელია იმის, რომ ფიზიკური სექცია ფაკულტეტზე მაღალ დონეზე დგას.

პროფ. რ. ხუციშვილის მოსვლამდე ფიზიკური სექცია ფაკულტეტზე დაბალ დონეზე იდგა, ვანაიდან მაღალ კვალიფიკაციური სპეციალისტი ფიზიკოსები სრულიად არ გვყავდა.

მხოლოდ თუ ეხლა ფიზიკური სექცია მაღალ სიმაღლეზე ავიდა, ეს დაკავშირებულია პროფ. რ. ხუციშვილის მუშაობასთან, რომელიც მიისწრაფის, კერძოთ თავის ლექციებში, იქითკენ, რომ ესა თუ ის ფიზიკური დისციპლინა იკითხებოდეს ღრმა მათემატიკური ანალიზის სათანადო გამოყენებით. საერთოდ პროფ. რ. ხუციშვილის გავლენა გამოიხატება იმაში, რომ ის მოითხოვს ფიზიკოსების ფართო მათემატიკურ განათლებას (იგივე უნდა ავლნიშნოთ ახალად ჩამოსულ ახალგაზრდა ფიზიკოს **მ. მირიანაშვილის** შესახებ) ფიზიკის სამეცნიერო წრის ინტესიური მუშაობა არის აგრეთვე შედეგი ახალი გამგეობის აქტიური მუშაობის. რომელმაც შესძლო დაერაზმა სტუდენტობა სამეცნიერო წრეში მუშაობისათვის, კერძოთ შედეგი იმის, რომ ფიზიკური სექციის მესამე კურსის სტუდენტობა (რომელიც უძლიერეს აკადემიურ ჯგუფს წარმოადგენს ფაკულტეტზე) გამგეობაში წარმომადდგენლების სახით დაინტერსებულია სამეცნიერო წრეში მუშაობით.

განსაკუთრებით უნდა ავლნიშნოთ, რომ წრის მუშაობა არ იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რომ მას საერთო ხელმძღვანელობას არ უწევდეს დოც მ. მირანაშვილი, რომელიც დაინტერესებულია სტუდენტების მუშაობით სამეცნიერო ასპარეზზე. უნდა ავლნიშნოთ აგრეთვე ზოგიერთი ნაკლი, რომელიც გააჩნია წრეს თავის მუშაობაში, არ არის მოგვარებული წრის ბიბლიოთეკის საკითხი (შკაფი, წიგნები) მუდმივი აუდიტორიის საკითხი და სხვა. წრის გამგეობამ მათემატიკურ სამ. წრესთან ერთად მოკიდე ხელი ამ ნაკლის გამოსწორებას.

**ფიზიკოსი**

## შორს დეორგანიზატორი
### (საბჭოთა აღმშ. და სამართ. ლის ფაკ. ჯგუფი № 24)

ჩვენმა ჯგუფმა და მისმა სამკუთხედმა თავის დროზე გადადგა ნაბიჯი საკავშირო კონკურსთან დაკავშირებით მიღებულ ვალდებულების რიალიზაიისათვის, რომლის შემდეგები თვალსაჩინოა, როგორც დისციპლინის დარგში, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში.

მაგრამ მიღწევებთან ერთად არის მთელი რიგი დეფექტები, რომლებიც გამომდინარეობს ცალკეულ უდისციპლინო სტუდენტებიდან, როგორიც არის, მაგალითად ტარასი ჩალაგავა.

„უნივესტეტი-ს სახელობის თვით ფრინავის ასაგებ ფონდში ერთი შაურიც არ შეუტანია იმ დროს, როდესაც მთელმა ჯგუფმა 5-5-მანეთი შეიტანა.

ჩვენი ფაკულტეტის მიერ რამოდენიმეჯერ იყო მოწყობილი შაბათობა არცერთზე არ ყოფილა ჩალიგავა-და როდესაც შეეკითხებით, თუ-რატომ არ მიიღო მონაწილნობა მიიღებთ პასუხს: „რომელ შაფათობაზე მლეაპარაკები-ის სტუდენტები რომლებიც იყვნენ შაფათობაზე სულელები არიან, მუშაობა რომ მყვარებოდა, სოფელში დავრჩებოდი“-და სხვა.

ჩალიგავას ხშირად უყვარს და სტუდენტების დახასიათება შემდეგ ნაირად „ეხლანდელი სტუდენტების 91-პროც. იორალრად დაცემულია, მათ რა უნდათ უნივერსტეტში მაგენი სოფლად ბატებს უნდა წყესავდე-ს.

ჩალიგავას უყვარს ჩხუბი, უწმაწური სიტყვები, საერთო საცხოვრებელში შინა განაწესის დარღვევა და უსუფთაობა, მასთან მცხოვრებ ამხანაგებისადმი უდიეთად მოქცევა.

რაღაც კომბინაციით მან ხელთ იგდო ორი პურის წიგნაკი, რომლებითაც სარგებლობს დღეს სტუდ. ქალაქის №9 პურის წერტიდან.

ჯგუფის სამხუთხედმა რამოდენიმეჯერ მიუთითა ჩალიგავას გამოსწორებისაკენ მაგრამ ჩალიგავამ გამოსწორებას ნაცვლად „გაუმჯობესა“ თავის უზნეობა.

ჩალიგავა არც ერთი თავისუფალი ორგანიზაციის წევრი არ არის იმ დროს როდესაც უნივერსტეტთან არსებობს 5-თავისუფალი ორგანიზაცია. არ იწერს არავითარ წიგნებს ჟურნალებს და სხვა.

ჯგუფმა ჩალიგავას საკითხი დაამუშავა, დეკანატმაც მისცა მითითება, მაგრამ ჩალიგავამ შემდეგი განცხადა: „მე მინამ კომკავშირელი ვარ, ვერავინ ვერაფერს მიზამთ და დავრჩები კომკავშირელი, რადგან უნივერსტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში არ ვირიცხები“.

რომ ჯგუფის და მისი სამკუთხედის მუშაობამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს კონკურსთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები, საჭიროა ჩალიგავას მსგავსნი განიდევნოს ჩვენი წრიდან.

**უვირილისპირელი**

# უწყებები

**1. ლენინის რაიონში:** მებრძოლ ულმერთოთა რაიონულ საბჭოში (საბჭოს ქ. № 179) ორი დღის ვადაში უნდა გამოცხადდეს (10-დან 3 საათამდე) და აიყვანოს რომელიმე ანტირელიგიური წრე: ნ. ტოროშელიძე ქ. არეშიძე, ნ. ტყეშელაშვილი, ი. თავბერიძე, ვ. ნუცუბიძე, ნ. გამსახურდია, მ. სილაგაძე, ე. ბალავაძე, ე. შელია, მ. ახმეტელი, ნ. მაზანაშვილი, ტ. სანაძე, ს. ბალანჩივაძე, გ. აბზიანიძე; გ. ესებუა, ი. აბაშიძე და ს. კარსანიძე.

**2. სტალინის რაიონში** (მ. უ. კ. რაისაბჭოში, პეროვსკაიას ქ. № 2, 10-1-ს.): ვ. გუგუშვილი, მ. ჩხიკვაძე, გ. კალანდარაშვილი, ანა ნიკოლაძე, ა. მამააშვილი, პ. ბერაძე, ი. მელქაძე, ლ. პაპასკირი, ქ. ლომთათიძე,

**სტალინის სახნლობის კლუბში** (პლეხანოვის პრ.) საღამოს 7—10 აათსმდე, ანტირელიგიურ კაბინეტში (მეორე სართული) ამხ. ნ. მაკალათიასთან უნდა გამოცხადდენ შემდეგი ასპირანტები: ე. ვასაძე, ა. თოფურია, ს. წერეთელი, მ. ჩხენკელი, ღლონტი, ფ. ნაროუშვილი, ა. გოგუაძე.

**სარედაქციო კოლეგია**


# ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

**გამოვიდა და იყიდება**

1. ელემენტთა პერიოდული სისტემა—თანამედროვე სახით:
ფასი — 3 მან.

2. ელემენტთა პერიოდული სისტემა — ძველი, როგორც იგი მოთავსებულია დ. ი. მენდელეევის „ქიმიის საფუძვლების“ მერვე გამოცემაში.
ფასი — 2 მან.

2. ნ. პ. ორლოვა — ქიმიური ამოცანები და ვარჯიში
ფასი — 1 — 50 კაპ.

4. პროფ. მელიქსეთ-ბეგი — ძველი სომხური გრამატიკა ერთ ტაბულად.
ფასი — 75 კაპ.

## იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა:

1. პროფ. ლ. გოკიელი—სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები.
2. პროფ. კ. სულაქველიძე—რიცხვთა თეორია.
3. დოც. ნ. კეცხოველი—საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები.
4. აკად. ნ. მარისადმი მიღძვნილი კრებული.
5. ტფ. სახ. უნივერსიტეტის ექსპერიმენტალური ბიოლოგიის ინსტიტუტის შრომები. № 1.

მზადდება „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ № 1

გამომცემლობის კიოსკში (უნივერსიტეტთან) და საწყობში შეიძლება უნივერსიტეტის ყველა ძველ გამოცემათა შეძენა.



მთავლ. № 66 ტირაჟი 3500 ტფილისის სა. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია შეკვეთა № 1